

მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია (IOM) ახორციელებს პროექტს, რომლის ფარგლებშიც შესაძლებელია საქართველოს მოქალაქეების დროებითი (6 თვემდე) ლეგალური დასაქმება პოლონეთში. IOM ეხმარება შერჩეულ კანდიდატს დამსაქმებელთან დაკავშირებაში და სამუშაო ვიზის პროცედურების შესახებ ინფორმაციის მიწოდებაში, მაგრამ სამუშაო ვიზის აღებასთან და მზავრობასთან დაკავშირებულ ხარჯებს (სავიზო მოსაკრებელი - 60 ევრო, სამოგზაურო-სამედიცინო დაზღვევა - 30 ლარი, სამგზავრო ბილეთი - 100-დან 250 ევრომდე, ასევე სარეზერვო თანხა ანგარიშზე - 400 ევრო), ფარავს თვითონ სამუშაოს მაძიებელი. განცხადებაში ასახულია დამსაქმებლის მიერ მოწოდებული ინფორმაცია. დასაქმების დამატებითი დეტალები ზუსტდება დამსაქმებელთან გასაუბრებით, რომლის ორგანიზებაში გეხმარებათ IOM.

ვაკანსია: შემდუღებელი

სამუშაო ადგილი: პოლონეთი

საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

- შემდუღებელი (პროფესიული განათლება ამ სფეროში ჩაითვლება უპირატესობად)
- მუშაობის 3 წლიანი გამოცდილება
- შედუღება ევროპული კოდებით 135, 141, 111:

** 135 (MIG და MAG ნახევრად ავტომატური შედუღება)

** 141 (GTAW და TIG) არგონით ნახევრად ავტომატური შედუღება

** 111 - ლითონის ელექტრო რკალური შედუღება (SMAW), იგივე ხელით ელექტრო-რკალური შედუღება (MMA ან MMAW).

შენიშვნა: 135 და 111 კოდით შედუღებისას მოთხოვნილია ევროპული სერტიფიკატი. ასეთის არარსებობის შემთხვევაში, შესაძლებელია ამ სერტიფიკატის პოლონეთში აღება, თუკი კანდიდატი კარგად ფლობს ამგვარი შედუღების ტექნიკას და ჩააბარებს შესაბამის საკვალიფიკაციო გამოცდას.

ასაკი: 60 წლამდე (სასურველია)

უცხო ენების ცოდნა: რუსული (საშუალოდ)

დასაქმების პირობები:

სამუშაო რეჟიმი: კვირაში 5 დღე, დღეში 8 საათი. შაბთი-კვირა სურვლის მიხედვით (დამატებითი შემოსავლის მისაღებად)

სამუშაო დრო: დღეში 8 საათი. დამსაქმებელთან შეთანხმებით შესაძლებელია მეტი ხანგრძლივობით მუშაობაც.

დასვენების დღე: 2 დღე კვირაში

გამოსაცდელი პერიოდი: 2-4 კვირა

შრომის ანაზღაურება: გამოსაცდელ პერიოდში - 15 პოლონური ზლოტი საათში, გამოსაცდელი პერიოდის შემდეგ - 17-20 პოლონური ზლოტი საათში.

სამედიცინო დაზღვევა: უზრუნველყოფილია

ხელფასის გადახდის წესი: თვეში ერთხელ (ავანსი შესაძლებელია).

კონტრაქტის ხანგრძლივობა: 6 თვე, შემდგომში გაგრძელების პერსპექტივით¹ წლამდე და ზემოთ.

საცხოვრებელი პირობები: საცხოვრებელი ადგილი უზრუნველყოფილია. ოთახები დაქირავებულია კერძო მესაკუთრეებისგან, 2-3 ადამიანი განთავსდება ერთ ოთახში, დასაქმებული იხდის თვეში მხოლოდ 200 PLN (დაახლოებით 48 ევრო), დანარჩენ თანხას ფარავს დამსაქმებელი.

მოთხოვნილი პროფესიული ცოდნისა და გამოცდილების მქონე დაინტერესებულმა პირებმა, გთხოვთ, გამოგვიგზავნოთ თქვენი რეზიუმე (CV) ქართულ და/ან ინგლისურ ენაზე შემდეგ ელ. ფოსტაზე: tantadze@iom.int

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად დარეკეთ შემდეგ ტელეფონებზე: (+995 32) 2 600 955; მობ.: 577 43 46 44